საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000268168

22/03/2021

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 12 ოქტომბერს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N978089 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის N988832) „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის №1054517 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება ბრძანებაში N1127236, 26.11.2020) სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 22 დეკემბრის №1219727 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 21 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 2021 წლის 23 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
		•		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 5 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მეორე სტანდარტი ნაცვლად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 22 მარტის N268035 სხდომის ოქმის N04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი N3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1. დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, გაძლიერდეს პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტები;

4.2. დარგთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსებში შემავალი თემები, მოხდეს მათ შორის ლოგიკური ბმის განხორციელება და პრაქტიკული კომპონენტის დამატება;
4.3. მოხდეს დარგის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამაში შემავალ სასწავლო კომპონენტებში;
4.4. სამომავლოდ ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, სადაც კვლევის შედეგების ვალიდურობა დადასტურებული იქნება.
4.5. პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას დეტალურად გაიწეროს ხარჯები, ხარჯების შემოსავლებზე მეტობის შემთხვევაში მითითებული იქნას მათი დაფარვის წყაროები.
4.6. წარმოდგენილი იქნას 5 წლიანი გეგმა, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ლაბორატორიების ეტაპობრივად განახლების გრაფიკი, რომელიც სტუდენტებს ექსპერიმენტების თანამედროვე აპარატურით ინდივიდუალურად ჩატარების საშუალებას მისცემს;
4.7. პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
4.8. უნდა მომზადდეს ბევრი საპროექტო წინადადება როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ფონდებისთვის და გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.
4.9. მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.
4.10. ბევრი საგრანტო წინადადება მომზადდეს, რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილიც კონცენტრირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლებაზე.
5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი, 2022 წლის 5 მარტამდე.
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 5 მარტს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია Biology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	№39, 23.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Biology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია Biology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 1, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 5 მარტი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2022 წლის 5 მარტამდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 5 მარტი